პროექტი №3

აპროქსიმაციის თეორიის საკითხები ლოკალურად კომპაქტურ ჯგუფებზე განსაზღვრულ ფუნქციათა და ზომათა სივრცეებში

პროექტის ხელმძღვანელი - დ. უგულავა
დაფინანსება – 8100 ლარი

პროექტით გათვალისწინებული იყო აპროქსიმაციის თეორიის საკითხების შესწავლა ჰაუსდორფის ლოკალურად კომპაქტურ კომუტაციურ ანუ აბელის ჯგუფებზე განსაზღვრულ ფუნქციათა და ზომათა ზოგიერთ სივრცეში. პროექტის მიზანი იყო ამ სივრცეებში ისეთი მააპროქსიმირებელი აგრეგატების შექმნა და შესწავლა, რომლებიც კლასიკაში კარგად ცნობილი ჯგუფების შემთხვევაში განხილული კონსტრუქციების ანალოგებს წარმოადგენენ. ამით, ლოკალურად კომპაქტური აბელის ჯგუფებისათვის, ფუნქციათა და ზომათა ზოგიერთ სივრცეში წარმატებითაა გადაჭრილი აპროქსიმაციის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. მიღებული შედეგები გაფორმებული გვაქვს სტატიის სახით და გადაცემულია განსახილველად იმფაქტ ფაქტორიან ჟურნალში Georgian Mathematical Journal. დაწერილი გვაქვს მეორე სტატია და ისიც გადაიცემა რომელიმე ჟურნალში.